06/10/2019

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი გია ყანჩელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი 1
ტელ.: (995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114

**CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA**

1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.:(995 32)2990378, 2989540; Fax:2987114


†

ბატონ გია ყანჩელს დღეს მარტო ჩვენი ქვეყანა არ ეთხოვება. მან მთელ კულტურულ კაცობრიობას გააცნო და შეაყვარა ქართული სული, ქართული მუსიკალური აზროვნება. მისი სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები, მათ შორის: „საგალობლები," „ლიტურგია," „ლოცვები," „სტიქსი," „სევდა ნათელი"... საესტრადო სიმღერები, თეატრისა და კინომუსიკა აგრესიითა და ძალადობით სავსე ჩვენს დროში სულიერებით განმსჭვალავს მსმენელს და სიმშვიდითა და სითბოთი ავსებს.

შევთხოვთ ღმერთს, ამ დიდი შემოქმედის უკვდავი სული სავანესა მართალთასა დააწესოს, ხოლო ჩვენს ქვეყანას მოანიჭოს თვისი მადლი, რომლის ძიებაც იყო ბატონ გია ყანჩელის შემოქმედება.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

05.10.2019.

- patriarchate.ge